# არაკომერციული იურიდიული პირი
# “ფონდი ექსესი”

კონკურსი ლეპტოპების შეძენაზე

პროექტის დასახელება: “ლეპტოპები სოციალურად დაუცველი მოსწავლეთათვის”
პროექტის ნომერი: 22.01.21_01

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

ააიპ “ფონდი ექსესი”-ს მიერ ხორციელდება პროექტი “ჩართე” (Charte.ge), რომლის ფარგლებში კერძო დონორების და ორგანიზაციების მხარდაჭერით ხდება სოციალურად დაუცველი უფროსკლასელების ინტერნეტით და კომპიუტერით უზრუნველჰყოფა, რათა მათ შეძლონ სრულფასოვნად ჩაერთონ ონლაინ საგანმანათლებლო პროცესში.

ამჟამად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ვმუშაობთ ერთობლივ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც უნდა შევიძინოთ 50 ლეპტოპი სოციალურად დაუცველი უფროსკლასელთათვის.

დაგეგმილი გვაქვს შევისყიდოთ შემდეგი საქონელი დანართი 1 - ის შესაბამისად.

ინტერესის შემთხვევაში გთხოვთ 29.01.2021 -ის 12:00 საათამდე წარმოგვიდგინოთ თქვენი შემოთავაზება შემდეგ ელ. ფისტაზე: info@educaregeorgia.com

გთხოვთ შემოთავაზება მოგვაწოდოთ ინგლისურ ენაზე.

დაგვიანებული შემოთავაზებები არ განიხილება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2013 წლის მაისიდან სსკ–ს 168-ე მუხლის მე–4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება სარგებლობს გადასახადებისგან გათავისუფლებით (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი) და შესაბამისად წარმოდგენილი ფასი არ უნდა შეიცავდეს მოცემულ გადასახადებს.

გთხოვთ წინადადებაში მიუთითოთ შემდეგი :

- ფირმის სრული სახელწოდება
- ფირმის მისამართი
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, საკონტაქტო პირი)
- ტენდერის დასახელება - “ლეპტოპები სოციალურად დაუცველი მოსწავლეთათვის”
- წარწერა ,,კონფიდენციალურია“

- გთხოვთ გამოგზავნოთ კომპანიის ოფიციალური ელ. ფოსტიდან.
- შემოთავაზებაში მიუთითეთ ტენდერის ნომერი - 22.01.21_01

გთხოვთ შემოთავაზება დაიტანოთ თქვენი ორგანიზაციის ლოგოიან თავფურცელზე,

შემოთავაზებაში მითითებული უნდა იყოს:
- შეკვეთის შესრულების ვადები
- შემოთავაზების მოქმედების ვადა

შეკითხვები პროცედურული თუ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ტენდერის დასრულებამდე არაუგვიანეს 2 დღისა, ელ. ფოსტაზე - info@educaregeorgia.com

წესების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება თქვენი შემოთავაზება არ იქნას განხილული.

შემოთავაზებების შეფასება სავარაუდოდ დასრულდება 01.02.2021-სთვის.
დაკავშირება მოხდება მხოლოდ გამარჯვებულ კომპანიასთან.

სხვა პირობები:

- საქონლის მოწოდების უკიდურესი თარიღი გახლავთ 22.02.2021. გთხოვთ შემოთავაზებაში მიუთითოთ მოწოდების უმოკლესი ვადა.
- საქონლის მიწოდების ადგილი: თბილისი, სანდრო ეულის 7
- ანაზღაურება: საქონლისა და ორიგინალი ინვოისის მიწოდებიდან 3 სამუშაო დღეში

პატივისცემით,

გიორგი ჯიბლაძე
დირექტორი

__დანართი 1__

**კატეგორია:** ლეპტოპი
**რაოდენობა:** 50 ცალი
აღწერილობა: პროექტის მიზნიდან გამომდინარე საჭიროა ლეპტოპები მინიმალური საბაზო მონაცემებით.

Brand: HP; Dell; lenovo; Acer, Asus, Samsung (ყველა შემადგენელი დეტალი დაკომპლექტებული მწარმოებლის ქარხანაში. შესაძლოა განვიხილოთ სხვა ბრენდებიც)
Display: (Minimum) 10" HD
RAM (Minimum) - 4GB
HDD (Minimum requirement) - 500GB (უპირატესობა მიენიჭება SSD (Min requirement) - 128 GB. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლოა განვიხილოთ SSD - 64 GB)
Wifi adapter
Power (Min requirement) batterry 3cell; 41 Wh Li-ion
Driver and hardware compatibility OS WIN 10
Weight - 2 კგ მაქს.
Warranty - 1Y